

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 25 მაისი, 2012 წელი

დრო: 18:00 – 19:30

შეხვედრის ადგილი: კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე- ქეთევან ციხელაშვილი
2. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი - დავით ნარმანია (თანაკოორდინატორი)
3. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება - პაატა ბელთაძე (თანაკოორდინატორი)
4. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის - ოლეგ შატბერაშვილი
5. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება - შორენა კაპანაძე
6. ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი - თენგიზ შერგელაშვილი
7. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - პავლე ცაგარეიშვილი

8. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი - დავით ცისკარიძე
9. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია" - ლევან ცხაკაია

განსახილველი საკითხები:

1. ინფორმაცია მდგრადი სავაჭრო ურთიერთობების გავლენის შეფასების შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების (DCFTA) ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებების მხარდასაჭერად (პროექტის საწყისი ანგარიში, ECORYS, CASE) - დავით ნარმანია, პაატა ბელთაძე

2. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში 2011 წლის განმავლობაში, ანგარიში საქართველოს შესახებ და სამოქმედო რეკომენდაციები (ევროკომისია) - პაატა ბელთაძე, დავით ნარმანია

3. ინფორმაცია 2012 წლის 7–8 მაისს ქ.ბრიუსელში ევროკომისიის სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან (DCFTA) და აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებზე შეხვედრის შესახებ–პაატა ბელთაძე

4. ინფორმაცია 2012 წლის 16 მარტს ქ. ბრიუსელში აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ეკონომიკური ინტეგრაციის სამთავრობო ჯგუფის შეხვედრის შესახებ (სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა და საპენსიო ფონდები) - პაატა ბელთაძე

5. წინადადებები მე-2 სამუშაოჯგუფის სამოქმედო გეგმის მომზადების თაობაზე - დავით ნარმანია, პაატა ბელთაძე, ჯგუფის წევრები

6. სხვა საკითხები - ჯგუფის წევრები

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და წევრებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგის მონახაზი - საკითხთა ჩამონათვალი უფრო დეტალური განმარტებით. განსახილველი საკითხების გაცნობის შემდეგ დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით დღის წესრიგი დამტკიცდა.

ჯგუფის წევრებამ პირველ საკითხად იმსჯელეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) ფარგლებში მდგრადი სავაჭრო ურთიერთობების გავლენის შეფასებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ. თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ ECORYS - მა და CASE - მა წარმოადგინეს პროექტის პირველი შუალედური ანგარიში, რომლის პრეზენტაცია გაიმართება2012 წლის 14 ივნისს. გაირკვა, რომ საქართველოში ამ ორგანიზაციების წარმომადგენელია ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), რომელიც ეხმარება მათ ადგილზე შეხვედრების გამართვაში, ინფორმაციის მოძიებასა

და სხვა ორგანიზაციულ საკითხებში. ჯგუფის თანაკოორდინატორის ინფორმაციით შეხვედრაზე დისკუსია გაიმართება არა მარტო ECORYS -ისა და CASE - ის მიერ განხილულ საკითხებზე, არამედ შესაძლებელი იქნება გარკვეული წინადადებებისა და მოსაზრებების წარდენა მეორე სამუშაო ჯგუფის სახელით. ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის თემებზე მომხსენებლებად მიწვეულები არიან მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორები დავით ნარმანია და პაატა ბელთაძე, ხოლო გარემოს დაცვის საკითხებზე პრეზენტაციას გააკეთებს მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი ლია თოდუა.

ECORYS -ისა და CASE - ის მიერ მომზადებული ანგარიში მოიცავს არსებული ვითარებისა და სტატისტიკური მონაცემების ანილიზს. წარმოდგენილია მოდელი, რომლის მიხედვითაც მოხდება სხვადასხვა სექტორებზე DCFTA-ის გავლენის შეფასება. ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, კვლევის საფუძვლად აღებულია 2011 წელს უკრაინაში განხორციელებული იგივე ტიპის კვლევა. მითითებულია, რომ შესასწავლი სექტორები საბოლოოდ შეირჩევა სამოქალაქო საზოგადოებასა და კომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე. თანაკოორდინატორების აზრით ეს ძალიან კარგი საშუალებაა პროცესებში არასამთავრობო სექტორის ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მოსაზრებების წარსადგენად.

საქართველოს პროფესიული კავშირების წარმომადგენელის აზით, შუალედურ ანგარიშში საკმაოდ ობიექტურად არის ასახული საქართველოს სოციალური პოლიტიკის სფეროში არსებული ნაკლოვანებები. კვლევაში მოცემულია ერთი მეტად საყურადღებო გარემოება მთავრობის გარეთ არსებული საკონსულტაციო კულტურის სიმწირესთან დაკავშირებით. როგორც თანაკოორდინატორმა აღნიშნა, აუცილებელია 14 ივნისის კონფერენციაზე ამ საკითხზე აქცენტის გაკეთება და სამოქალაქო საზოგადოების, კონკრეტულად კი მეორე სამუშაო ჯგუფის, საკონსულტაციო მზადყოფნის დაფიქსირება.

შუალედურ კვლევაში მოცემულიაECORYS -ისა და CASE - ის მიერ DCFTA -ზე შემუშავებული ელექტრონული კითხვარების შედეგები, თუმცა ეს კითხვარები ჯერ არ დახურულა და დაინტერესების შემთხვევაში ორგანიზაციებს შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები. თანაკოორდინატორებმა ჯგუფის წევრებს მოუწოდეს უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინონ მსგავსი კითხვარების შევსებისას, რადაგანაც მათი ანალიზის საფუძველზე მიღებულ შედეგებს საკამოდ დიდი ყურადღება ექცევა ზოგადი ვითარების განსაზღვრისას.

კვლევის საბოლოო ანგარიშში მოცემული იქნება შემდეგი საკითხები: 1. ძირითადი მდგომარეობის იდენტიფიკაცია და ანალიზი; ის ფაქტორები რაც აფერხებს ინვესტიციების შემოსვლასა და ვაჭრობას; 2. DCFTA - ის გავლენა მცირე და საშუალო საწარმოებასა და კონკურენციის პოლიტიკაზე; 3. ჯვარედინსექტორული ეფექტები; 4. DCFTA - ის გავლენა სოციალურ და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ECORYS -ისა და CASE - ის გარდა DCFTA -ზე კითხვარი გამოქვეყნებული ჰქონდა აგრეთვე ევროკომისიას. კითხვარის შედეგები სავარაუდოდ მაისი ბოლოსთვის იქნება ცნობილი.

ჯგუფის წევრებმა მეორე საკითხად განიხილეს ევროკომისიის შეფასებითი ანგარიში 2011 წლის განმავლობაში საქართველოს მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების თაობაზე. თანაკოორდინატორის აზრით, შეფასება ზოგადად პოზიტიურია, თუმცა არასრულყოფილია როგორც მთლიანობაში, ასევე სოციალურ და შრომით ნაწილში. აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ სათანადოდ არ სრულდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 87-ე (შეკრების და ორგანიზების თავისუფლების შესახებ)და 98 -ე (ორგანიზაციისა და კოლექტიური მოლაპარაკების შესახებ) კონვენციები. შეფასებაში არაფერია ნათქვამი სოციალური და შრომითი უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის აუცილებლობაზე, ასევე იმაზე, რომ საქართველოში ხშირად ადგილი აქვს პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენებით მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციების გამართვის უფლების უხეშ დარღვევას.

ჯგუფის თანაკოორდინატორმა ყურადღება გაამახვილა ევროკავშირის ანგარიშში ასახულ რამდენიმე ეკონომიკურ საკითხზე. მოხსენებაში ნათქვამია, რომ 2011 წელს საქართველოში აღინიშნა ეკონომიკური ზრდა, თუმცა ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი უცხოური ინვესტიციები მთავრობამ დაგეგმილი მოცულობით ვერ მიიღო. ადგილი ჰქონდა ფასების ზრდას, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ინფლაციის მაჩვენებლის გაზრდა. აღნიშნულია, რომ მთავრობამ პროგრესს მიაღწია ბიზნესის კეთებაში (17-ე ადგილიდან გადმოინაცვლა 16-ე პოზიციაზე), რაც ქონების რეგისტრაციის პროცესის გამარტივებამ განაპირობა. როგორც თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რამდენადაც კლევის ავტორები ინფორმაციას იღებდნენ მხოლოდ მთავრობისგან, ცალკეულ სფეროებში არსებული ვითარების შესახებ მათ სრული და ობიექტური სურათი არ აქვთ. მაგალითად, ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ბიზნესი გადასახადებს იხდის წელიწადში მხოლოდ ოთხჯერ, არ შეესაბამება სიმართლეს. DCFTA -სთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მოლაპარაკები დაწყების ეტაპზეა და მთავრობამ წინა მოსამზადებელი პერიოდის ვალდებულებები შეასრულა. თუმცა ნათქვამია ისიც, რომ სავაჭრო სფეროში განხორციელებული რეფორმების წარმატებით დასრულებმადე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რეფორმებია გასატარებელი. კვლავაც პრობლემატურია ინსტიტუციური მოწყობის საკითხი.

”ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის” წარმომადგენლის აზრით ბოლო დაკვირვებების საფუძველზე კრიტიკას იმსახურებს არა მარტო საქართველოს მთავრობა, არამედ ევროპული მხარეც, რადგან მათი რექაცია სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე არაერთგვაროვანია. მაგალითად, დასკვნაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება განაგრძობს ვარდნას. ასეთივე და კიდევ უფრო რთული ვითარებაა მეცნიერების დარგში, თუმცა ამაზე არაფერია ნათქვამი. აღნიშნულია, მხოლოდ ის, რომ გაიზარდა მეშვიდე ჩარჩო პროგრამაში შესული წინადადებების რაოდენობა. ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, კომისიის ევროპული პრიორიტეტების პროფილის აღქმა დიდწილად არის დამოკიდებულია იმ პიროვნებების ხედვებზე, რომელებიც სხვადასხვა დროს უფლებამოსილნი არიან ევროკომისიის საქმიანობაზე. DCFTA - სთან დაკავშირებით კი მნიშვნელოვანია ის, რაც ამ ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს. კერძოდ კი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის, სოციალური დიალოგისა და სხვა პრობლემატური

საკითხების მოგვარება, რაც ხელშეკრულებაზე უარყოფითი შედეგის შემთხვევაშიც კი სასარგებლო იქნება საქართველოსთვის. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჯგუფის წევრებს მოუწოდა პროცესების უფრო ღრმა და არსობრივი შესწავლისაკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეებს აცნობა, რომ 6 ივნისს ბრიუსელში გაიმართება სამოქალაქო ფორუმის პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. ამ შეხვედრის შემდეგ 7 ან 8 ივნისს იგეგმება შეხვედრა საქართველოში DCFTA-ის მთავარ მომლაპარაკებელთან. თამჯდომარემ დამსწრეებს შესთავაზა ჯგუფის საერთო მოსაზრებების შეხვედრაზე წარდგენა. წევრები შეთანხმდნენ, ხელშეკრულებაზე წინადადებებისა და მოსაზრებების თავმოყრასა და თავმჯდომარისთვის მიწოდებაზე.

დღის წესრიგის მესამე საკითხის შესაბამისად, ჯგუფის თანაკოორდინატორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2012 წლის 7–8 მაისს ქ. ბრიუსელში ევროკომისიის სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან DCFTA - სა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა საკითხებზე გამართული შეხვედრის შესახებ. შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კონკურენციის, ანტიმონოპოლიური სამსახურის, შრომითი უფლებების, სოციალური და გარემოს დაცვის კუთხით არსებული პრობლემების მოგვარების გარეშე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას DCFTA -ზე მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების საკითხი. ბრიუსელში გამართულ შეხვედრას ესწრებოდა ფილიპ პუარსინი, აღმოსავლეთ ევროპასთან და აღმოსავლეთ აზიასთან ურთიერთობის კომისიის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში საქართველო არის ქვეყენა, რომელიც ბლოკავს სამოქალაქო საზოგადოებასთან სტრუქტურული დიალოგის განვითარებას.

ამის შემდეგ, პლატფორმის თავმჯდომარე ჯგუფის წევრებს ესაუბრა ევროკავშირის წარმომდგენლობის ხელმძღვანელ ფილიპ დიმიტროვთან 25 მაისს გამართული შეხვედრის შესახებ. შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა ევროკავშირის ორგანიზებით, მიწვეული იყო დაახლოებით ოცამდე ორგანიზაცია. დელეგაციიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ელჩი, ევროკავშირის წარმომადგენლობის დემოკრატიზაციის და სამოქალაქო საზოგადოების ატაშე ჰელგა პენდერი, ევროკავშირის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე და ადამიანის უფლებათა სფეროს თანამშრომელი. შეხვედრის მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოებისთვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ ევროკავშირის ანგარიშის გაცნობა და მათი მოსაზრებებისა და წინადადებების მოსმენა. თუმცა, შეხვედრა ძირითადად მხოლოდ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების შეფასებას დაეთმო და ელჩს დამსწრეებისათვის საინტერესო პრობლემატურ საკითხებზე ყურადღება არ გაუმახვილებია. საბჭოს თავმჯდომარის აზრით, ევროკავშირის ანგარიში თავისი ფორმატიდან გამომდინარე საკმაოდ ობიექტურია, თუმცა დოკუმენტში ცალკეული საკითხები სიღრმისეულად არ არის განხილული, ამასთანავე საერთოდ არაფერია ნათქვამი თვითმართველობისა და დეცენტრალიზაცის საკითხებზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ელჩის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად იქნა აღქმული.

ევროკავშირის წარმომდგენლობის ხელმძღვანელთან გამართულ შეხვედრაზე ასევე განიხილეს ინფორმაციის გავრცელებასთან და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობასთნ დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ ელჩს ამის თაობაზე კონკრეტული არაფერი უთქვამს, პირიქით მისი პოზიცია საკმაოდ კრიტიკული იყო, რამაც დამსწრეების უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, როგორც საბჭოს თამჯდომარემ აღნიშნა, ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების ატაშე ჰელგა პენდერთან ურთიერთობისას პლატფორმას არანაირი პრობლემა არ ექმნება და პირიქით ის ყოველთვის მზად არის თანამშრომლობისთვის.

ამის შემდეგ ჯგუფის თანაკოორდინატორმა დამსწრეებს მოკლედ აცნობა 2012 წლის 16 მარტს ქ. ბრიუსელში გამართული სამთავრობო ჯგუფის შეხვედრის შესახებ. შეხვედრაზე საუბარი იყო ჰოლანდიისა და სლოვენიის სადაზღვო და საპენსიო სისტემაზე, რომელიც აღიარებულია ყველაზე ძლიერ და უმტკივნეულო მოდელად. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, კრიზისის შედეგად ყველაზე ცუდი ვითარება არის ჰოლანდიაში, ამიტომაც ამ ეტაპისთვის აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებაზე. გარდა ამ საკითხებისა შეხვედრაზე მიმოიხილეს როგორც ევროკავშირის ახალი წევრები, ასევე ევროპის კლასიკური სოციალიური მოდელის მიმდევარი ქვეყნები. თანაკოორდინატორის ინფორმაციით, შეხვედრის ყოველ სესიაზე სიტყვით გამოდიოდა ექვსივე ქვეყნის წარმომადგენელი. საქართველოდან შეხვედრას ესწრებოდა ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც მხოლოდ პირველ სისიაზე ზოგადი მოხსენებით წარსდგა დამსწრეების წინაშე. ჯგუფის თანაკოორდინატორის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია სამთავრობო ჯგუფების შეხვედრებზე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, რადგან ეს ხელს შეურყობს პლატფორმის ინფორმირებულობის დონის გაზრდას. კოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ სექტემბერში ანალოგიური შეხვედრა ჩატარდება შვედეთში.

წევრებმა შემდეგ საკითხად განიხილეს ჯგუფის სამუშაო გეგმა. თანაკოორდინატორმა დამსწრეებს გააცნო მის ხელთ არსებული გეგმის სამუშაო ვარიანტი, რომელიც მოიცავს "ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის" წარმომადგენლის და ჯგუფის თანაკოორდინატორის მიერ წამოყენებულ შემდეგ მიმართულებებს: საინოვაციო პოლიტიკა, საფლაგმანო ინიციატივები მცირე ბიზნესში, სოფლის მეურნეობა, კონკურენციის პოლიტიკა და სახელმწიფო შესყიდვები. მსჯელობის შემდეგ ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ სამუშაო გეგმაში უნდა შევიდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: არასატარიფო ბარიერები, საპენსიო ფონდები და სოციალური უსაფრთხოება, შრომით ურთიერთობები და სოციალური დიალოგი, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საკითხები EU და EaP ქვეყნებთან. გადაწყდა, რომ ჯგუფის თანაკოორდინატორი ზემოთ დასახელებული სფეროების გათვალისწინებით შეადგენს ჯგუფის სამუშაო გეგმის საბოლოო სამუშაო ვერსიას და გადაუგზავნის ჯგუფის წევრებს.

შეხვედრის ბოლოს საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო ეროვნული პლატფორმის მუშაობის მხარდაჭერის ორიპროექტი: პირველი პროექტი 6-თვიანია (დასაფინანსებლად წარედგინა ღია საზოგადოება-საქართველოს) და ძირითადად მოიცავს პლატფორმის სამდივნოს და სხვა პლატფორმის ფუნქციონირებისთვის სხვა აუცილებელი მინიმალური

ხარჯების დაფარვას. პროექტით განსაზღვრულია სამდივნოს შემდეგი ფუნქციები: შიდა და გარე კომუნიკაციის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ, მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს: მაგ., პლატფორმის წევრების შესახებ მონაცემების განახლება, ელექტრონული ჯგუფების შექმნა და ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა, სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ორგანიზება, ოქმების მომზადება და გავრცელება, პლატფორმის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება, მთავრობის წარმომადგენლებთან, ევროკომისიასთან, ევროკავშირის ადგილობრივ დელეგაციასთან შეხვედრების ორგანიზება, საქართველოს ეროვნული პლატფორმის პლენარული სხდომების ორგანიზება, აღმოსავლეთის პარტნიორობასთან დაკავშირებული რეკომენდაციების თავმოყრა, და ა.შ.

სამდივნოს პროექტთან შედარებით მეორე, ევროკავშირის პროექტი უფრო მაშტაბურია და მოიცავს შემდეგ სავარაუდო კომპონენტებს: 1. ჩრდილოვანი ანგარიშები, რომლებიც მომზადდება ჯგუფების მიერ (მესამე ჯგუფისთვის ხუთი სავარაუდო თემა); 2. სხვა ქვეყნების ეროვნულ პლატფორმებთან კომუნიკაცია და თბილისში ერთი შეხვედრის ორგანიზება; 3. სამდივნოს საქმიანობის რამდენიმე კომპონენტი; 4. სამუშაო ჯგუფების რეგულარული მუშაობა (შესაძლებელია რეგრანტების სისტემის გამოყენება); 5. 2 ან 3 სამმხრივი შეხვედრის ორგანიზება; 6. ევროპელი ტრენერების მოწვევით პლატფორმის შესაძლებლობების განვითარება - შესაძლო კომპონენტები: კვლევის მეთოდოლოგიები, ევროკავშირთან კომუნიკაცია, პროექტების მენეჯმენტი, რეკომენდაციების მომზადება და ადვოკატირება; 7. PR სტრატეგია. პროექტი 18 თვიანია და სავარაუდო ბიუჯეტი მაქსიმუმ 250 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრება.

დაახლოებით ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია